



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010188979587717

07 / სექტემბერი / 2017 წ.
№ 677/ს

მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის III ხარისხის (ნაძვის და ფიჭვის ჯიშის - 73,534 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N203) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 4 აგვისტოს N5004392017 დასკვნის, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 5 სექტემბრის N35149/14 და 2017 წლის 7 სექტემბრის N35509/14 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N203, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ბორჯომის სატყეოს, ბორჯომის სატყეო უბნის N20, კვარტლებში მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული 73,534 მ³ ნაძვის და ფიჭვის ჯიშის III ხარისხის მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები და აუქციონის ლოტები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი. გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9/8/2017

ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი